№ 114. 5 ივნისი, პარასკევი. 1866 – 1881 5 ივნისი, პარასკევი. № 114.

რედაქცია

გალაკანის ბრანსკვერტზეთ. ია. მუხრანელის ხახლები კლუბის ქვეშეთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაში-ივერიაში“ აგენტთან ი. ჭელნიასთან ხიდზე. კარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲐᲡᲘ

			წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
დროებაᲐ“ და „ივერიაᲐ“ ერთად			14 ფან. . . 8 ფ. . 5 ფ.
ცალკე	„დროებაᲐ“	. . . . .	9 ფან. . . 5 ფ. . 3 ფ.
	„ივერიაᲐ“	. . . . .	7 ფან. . . 4 ფ. . 2 ფ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ:

დიდი ახოებით ახოზე 1 კაბ. [illegible] ახოზე ნახევარი [illegible] ახოზე შეოთხედი კაბ.

თუ ხაჭირობა მოითხოვს, რედაქცია გაანწილებს და შეამოკლებს დახაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უინტოთ კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და ხუ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაᲐ“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისაᲐ“ ღირს 5 კაბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივნისისათვის დანიშნული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა ალიური საერთო კრება გადადებულ-იქმნა ორშაბათისათვის, 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საადგილ-მამულო ბანკის საადგომში.

კრების განსახილველად იგივე საგნები არის დანიშნული, რაც 1 ივნისის კრებისათვის იყო, ე. ი:

ა) წასრული წლის ანგარიშის მოსმენა,

ბ) საზოგადოების ახალ წევრთა არჩევა და

გ) მომავალ წლის გასავლის სიის დამტკიცება. (2—1)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

საყოველთაოდ აცხადებს, რომ სესენბული ბანკი იძლევა სესხს ქალაქის მამულების და სოფლის მიწა-წყლის გირაოზედ ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში.

სესხად მიიცემა ქალაქის მამულის გირაოზე $18^7/_{12}$ % ით მამულის ფასი 60 პროცენტი, სოფლო სოფლის მიწა-წყლის გირაოზე $43^1/_2$ %ით იმავე ფასის 50 პროცენტი.

$18^7/_{12}$ და $43^1/_2$ %იანს სესხებზე ბანკის მოვალეს უნდა ისადოს ყოველს ნახევარს წელს 3 პროცენტი სარგებელი და $^1/_2$ პროცენტი ბანკის მართვის სარჯების დასახურავათ, შესადგენად საოთადარიგო თანხისა და სხვ., სოლო სესხის მოსასპობად: $18^7/_{12}$ %იანისა $1^1/_2$ პროცენტი და $43^1/_2$ %იანისა $^1/_4$ პროცენტი. ამსაირად %ედიწადში მოვალეს უნდა ისადოს: ქალაქის მამულების გირაოში $18^7/_{12}$ %ით გაცემულს სესხზე 10 პროცენტი, სოლო სოფლის მიწა-წყლის გირაოში $43^1/_2$ %ით გაცემულს სესხზე $7^1/_2$ პროცენტი. გარდა ამისა დაფასების და გირაოს ფურცლების გამზადების სარჯების დასაფარავად მოვალე ერთ-დროებით ისდის სესხის რაოდენობაზე 1 პროცენტს,

ვისაც სესენბულის ბანკიდან სესხის გამოტანა ჭსურს, სესხის პირობაზე უმეტრო დაწვლილებით ცნობების შესატყობელად ინებონ მისწერა: ქ ქუთაისს ბანკის სამმართველოში, სოლო თბილისს ბანკის აგენტთან თბილისის ნოტარიუს ივანე ეგნატეს ძეს პოლტარაცკისთან.

გაცემა სესხისა და მიღება მოვალეთაგან ვადითი გადასახადებისა მოხდება: ქ ქუთაისს თვით ბანკის გამგეობისაგან, სოლო თბილის ზემოხსენებულის აგენტის საშუალებით. (3—2)

შენიშვნა

ტფილისი, 4 ივნისს.

ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ჩვენს ცხოვრებას, ვინც კი თვალყურს ადევნებს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, იმას ისიც ეცოდინება, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ნივთიერი ძალა. ჩვენში ყველა წოდების ხალხი იმისთანა გამოუთქმელ სიღარიბეშია, რომ თუ დღეს არა, ხვალ მაინც შევიტყობთ, რომ ჩვენშიაც ყოფილან იმისთანა კუთხეები, სადაც ხალხი იმდენი ხანი დარჩენილა მშიერი, რომ გადაჩეულა ჭამას, როგორც სწერენ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიის ხალხის შესახებ.

რა არის მიზეზი ჩვენი ამ გვარი სიღარიბისა? ბევრი რამ. ჩვენი ცხოვრება ისეთ სქელ ჭანგის ქერქში არის ჩამჯდარი; ჩვენი ცხოვრების მიმართულება ისეთ ღრმა სიბნელის უბსკრულშია ჩავარდნილი; მოქალაქებრივი შეხედულება ისე არის შერყეული; ისეთი შეუსაბამობა არსებობს საზოგადოებისა და პიროვნების შორის; ჩვენი გონება გარემოცილია იმისთანა უსწავლელობის ნისლით, რომ უფრო უარესიც დაგვემართოს, გასაკვირველი არ იქნება.

ჩვენში დავიწყებულია ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყანაზედ არსებობს ხოლო იმდენი ნივთიერი და ზნეობითი ძალები, რამდენიც საჭიროა კაცობრიობის ზრდისთვის; და თუ ერთმა ვინმემ დაიჩემა მეტი ძალა, ვიდრე იმისთვის იყო დანიშნული საერთოთ, მაშინ იქ ერთს, ან იქნება ბევრსაც აკლდება ეს ძალა. სადაც ერთი შეუსაბამოთ მდიდრდება, იქ მეორე შეუსაბამოთ ღარიბდება; სადაც ერთი ბევრს სჭაძს, იქ მეორე მშიერია; სადაც ერთი განცხრომილ ფუფუნებაშია, იქ მეორე დაჩაგრული და დავრდომილია.

ჩვენ ხალხს ხომ დიდი ხანია ვერ შეუძლიან დაიტრაბახოს განთქმული სიმდიდრით, მაგრამ ბატონ-ყმობის გადავარდნამ სრულიად ბოლო მოუღო ჩვენ მატერიალურ მდგომარეობას. ბლეხები, თუმცა განთავისუფლდნენ ზნეობით, მაგრამ ნივთიერათ ისევ დარჩნენ მემამულეების ყმებათ, რადგანაც არ მიეცათ მამული და შუამავლობა კი არა ჰქონდათ და არც ეხლა აქვსთ შეისყიდონ ეს მამულები. ეს უკანასკნელი ყმობა უფრო მძიმე ლოდათ დააწვათ სილარიბით გაჭყლეტილ გლეხებს, რომლებიც ჩაითვლებიან **თავისუფალ მოსახლეთ.**

ჩვენი თავად-აზნაურები, გადაჩეულან შრომას, რ დგანაც ყოველ საქმეს აკეთებდნენ ყმების ხელებით, ეხლაც არ იშლიან ცუდაობას და ზანტობას. რაც ყმების ფულები მიიღეს, სულ ქარაფშუტობაზედ დახარჯეს; ეს ფულები რო შემოაკლდათ, დაიწყეს მამულების დაგირავება პრიკაზში და ეხლა, ვისაც რამე მამული დარჩა, აგირავებს თავად-აზნაურების ბანკში. სამწუხარო ის არის რომ ეს ფულები იხარჯება ცუდ-უბრალოთ და არა იმ დაგირავებულ მამულის გაუმჯობესობაზედ! ჩვენში მეურნეობა დავარდნილია; ხვნა-თესვა მიდის მამა-პაპის წესზედ; ვენახები ფუჭდებიან, ისე რომ შემოსავალმა ყოველ მხრივ იკლო.

დასამტკიცებლათ აი ფაქტიც, რომელზედაც გაზეთ „დროების“ ერთს ნომერში იყო ამას წინათ პატარა შენიშვნა, შესახებ საერთო გზის შეკეთისა ზემო და ქვემო ნიჩბისში ბ-ნი მუხრანსკის ტყის მცველებისაგან.

თუ გლეხები ჰბედამენ თავის საერთო, სუდია-მამასახლისებით დამტკიცებულ განაჩენის გაზეთში გამოცხადებას, მაშ სჩანს ამ საცოდავ გლეხებს გასწყვეტიათ მოთმინების ძაფი; სჩანს სხვა ილაჯი აღარ ჰქონიათ თავის დაცვისა მტარვალებისაგან. მე ვამბობ **მტარვალებისაგან**, რადგანაც ყველა იმ საძაგლობას, რომელსაც სჩადიან ბ. მუხრანსკის ტყის მცველები, არ შეიძლება სხვა სახელი უწოდოთ.

წარმოიდგინეთ შეიარაღებული, ხელში მსხვილი მათრახებით სამი კაცი, რომლებიც დადიან სოფლებში ყვირილით, ლანძღვით, გინებით. ერთი თურმე ტრაბახობს იმითი, რომ ის ყოფილა ᲘᲛᲑᲘᲠᲨᲘ, მაშასადამე აღარაფრისა ეშინიან, მეტადრე როდესაც მას ჰყავს საფარათ ბ. მუხრანსკი; მეორე მათგანი თურმე ტრაბახობს კაცის-კვლით, მესამე განთქმული ქურდობით.

იქნება ეს ტყის მცველები ყველა ამ „**სქებარ**“ საქმეებს კიდეც იგონებენ ტყეშილათ, მაგრამ ის კი თურმე მართალია, რომ მთელი ეს ორი სოფელი განაბულია იმათის შიშით. არამც თუ ბ. მუხრანსკის ტყეში, არამედ პატრონებსაც კი აღარ უშვებენ თავიანთ ტყეში. ეს ტყის მცველები თურმე ერევიან ყველა საქმეში, რომელიც სრულიად არ შეეხება მათ; ზოგს ამართლებენ (ვინც ქრთამს მისცემს), ზოგს ამტყუნებენ, შტრაფს ართმევენ. შეურაცხყოფას აყენებენ გამელელ - გამომელელ დედაკაცებს. მთიულები ხომ, რომლებიც ბ. მუხრანსკის ტყეში სცხოვრობენ, ისე არიან თურმე შეწუხებულები, რომ ლამის სისხლი მოახდინონ. ბასაკვირველიც არ იქნება. დასაგვირგვინებლათ ყველა იმ საძაგლობისა, რომელსაც სჩადიან ბ. მუხრანსკის ტყის მცველები, ერთს მათგანს აბელა ხუდაევრდოვს, ცოლიანს, მოუტანია ერთი საწყალი მთიულისთვის გასათხოვარი ქალი და ჰყავს ბაბრიელ მერაბაშვილის სახლში. ამისთანა უბედურებაც იქნება?

ეს სიტყვები აღარ მოითხოვენ განმარტებას.

რას ფიქრობს ბორის მაზრის ადმინისტრაცია? რას ფიქრობს ბორის მაზრის უფროსი ბ. ერისთავი? ნუ თუ ელის, რომ სისხლი დაიღვაროს?

სანატრელია, რომ ყველა გაზეთებმა ყურადღება მიაქციონ ამ შესაზარ ფაქტს.

რ. ჯაჯანაშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

—

დღეანდელს „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ დაბეჭდილია შემდეგი განკარგულება დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძისა:

„კავკასიის აქეთა და იქითა მხრის ყველა მმართველობით უწყებებსა და მოსამსახურე პირთ.

„მიგდივარ რა პეტერბურგში, მე, ხელმწიფე იმპერატორის ნება-რთვით, ჩემს თანაშემწეს ღენ.-ადიუტანტს ღენ.-კავალერიისას თ. მელიქოვს მივანდე დროებით აღსრულება ყველა იმ მოვალეობისა, რომელიც კავკასიის ნამესტნიკს ეკუთვნის.

„გაცნობებ ამას კავკასიის აქეთა და იქითა მხრის ყველა მმართველობითს უწყებებსა და მოსამსახურე პირთ.“

ხელ-მოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი, ღენერალ-ფელდმარშალი

მიხეილ.

* * *

ამავე ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ტელეგრამმა, რომელიც იმას თავის თანაშემწის ღენ.-ადიუტ. თ. მელიქოვისათვის გამოუგზავნია 2 ივნისს: ქ. სევასტოპოლიდამ (ქირიმში).

„სრულიად მშვიდობით მოვედი. საღამი ძვირფასს კავკასიას. იმედია, თქვენც მშვიდობით დაბრუნდებოდით.“

მიხეილ.

* * *

ღეანდელს სხდომაზე ქალაქის რჩევას, სხვათა შორის, ექნება სჯა იმ 13,200 მანეთზე, რომელიც ბ.ბ. ანტ. ს. ᲞᲝᲠᲚᲐᲜᲝᲕᲛᲐ, Ა. Თ. ᲤᲠᲘ-

დონოვმა და ძმებმა ᲨᲘᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ შესწირეს ორის სტიპენდიის დასაარსებელად მომავალს ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ანუ სხვა უმაღლესს სასწავლებელში, რომელიც ქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ გაიხსნება.

რა სახელობითაც უნდა იყოს შეწირული ეს ფული, ქალაქისა და საზოგადოების მხრით ყოველთვის მადლობა ეკუთვნის ამ შემწირველთა...

* * *

ᲔᲠᲗᲝᲡ რუსულ გაზეთში ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ აქ გამოიარა 4,156 რუსმა, რომელნიც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ მიდიან დასასახლებელად და რომელთაგან 1,986 ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ იყვნენო.

ᲜᲔᲢᲐᲕᲘ სად მოდიან და სად უნდა დაესახლოს ამდენი ხალხი...

* * *

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ფოჩტით მოსულს „ᲠᲣᲡᲙᲘ ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲨᲘ“ შემდეგი მოკლე და ახირებული ტელეგრამმა არის დაბეჭდილი:

„ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 28 მაისს. აქ გაჩნდნენ ზღვის ავაზაკები.

* * *

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ ამ მაზრის უფროსი ბ. ᲑᲐᲨᲑᲔᲣᲥᲝᲕᲘ მთავრობისაგან 1879 წელს ნასესხს სომინდს ახდევინებს ყველას, ვინც კი ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ გადასახლებას დააპირებსო.

ნუ თუ ეს მართალია?

* * *

ᲘᲛ 13,200 მან. გარდა, რომელიც ზევით არის მოხსენებული დღეევანდელ ქალაქის რჩევის სხდომაზე კიდევ შემდეგ საგნებზე იქნება სჯა:

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ბ. ᲦᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ საქალაქო ბანკის თაობაზედ; ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲨᲘᲝᲔᲔᲡ ანდერძზე; აგურხანების თაობაზედ; ᲮᲨᲘᲡᲐᲜᲘᲡ Ნ. Დ. ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ რამდენსამე კითხვაზე და სხვ.

—

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ გუშინ წინდელ ნომერში, სამოქალაქო რჩევის ანგარიშში, მეორე გვერდის მესამე სვეტზე არეულია სტატიები. ᲐᲛᲘᲡ გამო ამ ადგილს ხელ ახლად ვბეჭდავთ:

ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ. მე მიკვირს, რომ ბ. ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘ ჰკრებს ქუჩა-ქუჩა სხვა-დასხვა ᲭᲝᲠᲔᲑᲡ და მათზედ აფუძნებს თავის სიტყვების სიმართლეს. მე ეურჩევ ᲭᲝᲠᲔᲑᲘᲡ ქუჩა-ქუჩა აკრეფას თავი დაანებოს და საქმის სინამდვილის გამოკვლევას შეუდგეს, მაშინ დარწმუნებული ვარ ბ-ნი ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘ სულ სხვა აზრისა იქნება და ამ უსიამოვნო ᲭᲝᲠᲔᲑᲡ მნიშვნელობას არ მისცემს.

ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘ. მე თქვენ გკითხავთ და მსურს, რომ ამ საქმეზედ პასუხი მომცეთ.

ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ. მაგ ᲒᲕᲐᲠ კითხვებზე მე პასუხს არ მოგცემთ.

ბ. ᲛᲔᲡᲮᲘ. პირველი ნაწილი ბ-ნი ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ კითხვისა, შესახებ მიხაილოვის ქუჩის მორწყვისა, მე მგონია საყურადღებოა და ამისათვის სასურველია, რომ ამ საკანზედ ცნობა მივიღოთ და სხვ.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

I

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ, 2 ივნისს. ᲖᲣᲠᲘᲐ ბევრით ჩამორჩა სხვა საქართველოს კუთხეებს ყოველგვარ წარმატებაში. ᲐᲛ ქვეყანას ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევენ; ურიცხვი და აუცილებელი მოთხოვნილებები აქვე რჩებიან ფარულათ და ყველასთვის გაუგებრათ. ᲩᲕᲔᲜᲡ ერთათ-ერთ ქართულ გაზეთში მთელი წლის განმავლობაში სამ-ოთხი კორრესპონდენცია თუ დაიწერა ᲖᲣᲠᲘᲐᲖᲔ—კიდევ დიდია, და ეს კორრესპონდენციები ხშირად წვრილმან საგნებს ეხებიან.

ᲘᲛᲘᲡᲐᲜᲐ უპირველესი და უმთავრესი საგანი, როგორიც არის ხალხის სწავლა განათლება, ᲖᲣᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ სრულიათ ახალი საგანია. ᲛᲮᲚᲝᲗ თავად-აზნაურები, რომელთა რიცხვი ძლიერ ᲪᲝᲢᲐᲐ ᲖᲣᲠᲘᲐᲨᲘ, ისიც მდიდარი თავად-აზნაურები და სასულიერო წოდება თუ აძლევენ სკოლაში თავის შვილებს, თვარა გლეხები და ღარიბი თავად-აზაურები რჩებიან გაუნათლებლად.

ᲖᲣᲠᲘᲘᲡ მრავალ მიყრუებულს სოფლებს, სადაც ხალხს სკოლა ჯერ არ ღირსებია, ეკუთვნის სოფ. ᲡᲐᲯᲐᲝᲮᲝᲪ. ᲡᲐᲯᲐᲝᲮᲝ საზღვრავს ᲖᲣᲠᲘᲐᲡ და ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲡ. ᲔᲡ სოფელი ძრიელ დიდია და მჭიდროთაც დასახლებული; მაგრამ ამ დიდ სოფელში არა თუ ახლა არ არის სკოლა, შემდეგისათვისაც არავინ ზრუნავს. ᲑᲐᲚᲜᲔᲑᲘᲡ გამოზდის სურვილი აქ სამზღვარს სცილდება, სწავლისათვის თავს არ შურავენ; მაგრამ რა ჰქნან, რომ გიმნაზიებში და სხვა შორს სასწავლებლებში გამოზდის შეძლება არა აქვსთ და არც იმის ჩამგონებელი და წინამძღოლი ყავთ, რომ სოფელში გახსნან სკოლაა 1868 წელს ᲡᲐᲯᲐᲝᲮᲝᲨᲘ მოვიდა ერთი ვიღაც კერძო პირი და მიიბარა ბავშები სასწავლებლათ. პირველ მოსვლისათანავე მას გაუჩნდა სამოცა მოსწავლეზე მეტი. ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ შორი კუთხეებიდამ მოყავდნენ შვილები და აბარებდნენ მას. სოფელი ძლიერ თანაგრძნობით მიეგება ამ საქმეს, რომ თვით მასწავლებელს არ დაენებებინა თავი. მას აქეთ გადის მეცამეტე წელიწადი და, რასაკვირველია სწავლის სურვილი და მოთხოვნილება ერთიცამეტათ გადაიქცა, მაგრამ ვინ არის ᲜᲔᲢᲐ ცალი თვალით გადახედავდეს ამ სოფელს ჩვენი „ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲮᲐᲠᲗᲒᲐᲓᲝᲗᲔᲑᲐ!

რაც შეეხება უბრალო წერა-კითხვას, ბევრმა იცის შინაური სწავლით ისე, რომ მოკითხვის წერილი დაწეროს და სახალხო წიგნები წაიკითხოს და გაიგოს. მაგრამ ვაი რომ სკოლებთან ამ წიგნებსაც მოკლებულნი არიან!

„ᲬᲕᲘᲛᲐ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲨᲮᲐᲠᲣᲜᲐ,
ᲫᲚᲘᲕᲡ ᲒᲐᲓᲣᲠᲩᲐ ᲠᲐᲠᲣᲜᲐ:
ᲪᲮᲔᲚᲘ ᲦᲝᲛᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲨᲝᲕᲜᲐ,
ᲪᲘᲕᲘ ᲩᲐᲣᲚᲐᲠᲣᲜᲐ“-Ო.

ᲐᲛᲘᲡ არ იყოს, სკოლა თუ არა, საკითხავი წიგნები მაინც გავავრცელოთ, რომ ამით მაინც შეცოცხლდეს ხალხი, რომ ამ „ᲪᲘᲕ ᲦᲝᲛᲘᲗ“ მაინც ჩაიდგას სული, მინამ „ᲪᲮᲔᲚᲘ ᲦᲝᲛᲘ ᲐᲨᲝᲕᲜᲘᲓᲔᲡ.

29 ივნისს არის ᲞᲔᲢᲠᲔ-ᲞᲐᲕᲚᲝᲑᲐ და მაშინ იციან ᲡᲐᲯᲐᲝᲮᲝᲨᲘ ქალაქობა (იარმუკობა), რომელსაც „ᲞᲔᲢᲠᲔ-ᲞᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ“ ეძახიან. ᲔᲡ ქალაქობა ᲞᲔᲢᲠᲔ-ᲞᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ დღიდამ დაწყებული თითქმის ორკვირას გრძელდება. ᲐᲥ რომ თავდება, მერმე იწყება ქალაქობა (ნაგომრობა) სოფ. ნაგომარში, რომელიც აგრეთვე ორ კვირას გრძელდება. ᲝᲠᲘᲕᲔ ქალაქობაზე აუარებელი ხალხით, გაჭიჭკნილია ქალაქის ადგილი. ᲗᲣ შეიძლება სახალხო წიგნების გავრცელება, ამისთანა ქალაქობებში შეიძლება, მაგრამ ვინ ფიქრობს ამაზე! 1878 თუ 1879 წ. მიიტანა იქ ქართული წიგნები გასაყიდლათ მესტამბემ ბ. ᲮᲔᲚᲐᲫᲔ, მაგრამ მაშინ ვგონებ კარგი მოგება ვერ ნახა და მერმე არ აიკვინ გვინახავს იქ.

მაგრამ ეს იმისთანა კეთილი და ხალხისთვის სასარგებლო საქმეა, რომ ამის მომქმედს მოგება კი არუნდა ჰქონდეს პირველ მიზნათ, არამედ

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ, 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ *)

II

ᲔᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲙᲐᲮᲔᲗᲡ უწინდელ დროში ერთი სახელი არ ერქვა. ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘᲡ გეოგრაფიიდამ სჩანს, რომ ᲨᲘᲜᲐᲜᲘᲓᲒᲐᲜ მოკიდებული ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ აღმოსავლეთის მხრის გაყოლება, ვიდრე მტკვრამდე, იყო ᲙᲣᲮᲔᲗᲘ; ᲔᲠᲬᲝ-ᲗᲘᲐᲜᲘᲗᲡ-ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მტკვრამდე ერქვა ᲑᲐᲠᲔᲗ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ ანუ ᲮᲣᲠᲙᲘ და ᲡᲐᲒᲣᲠᲐᲛᲝ. ᲗᲣᲨᲔᲗᲡ, ᲨᲐᲕᲔᲗᲡ და ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ზემო წელს, ვიდრე შეერთვიან ამ მდინარეს მარცხენა მხრით ᲡᲢᲝᲠᲘᲡ ხევი, მარჯვენა მხრით ᲗᲣᲠᲓᲝᲡᲘ, ერქვა ᲙᲐᲮᲔᲗᲘ. ᲗᲣᲠᲓᲝᲡᲐ და ᲡᲢᲝᲠᲘᲡ აღმოსავლეთ - დასავლეთით ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ხეობის გაყოლება მტკვრამდე იყო—ᲰᲔᲠᲔᲗᲘ (ᲖᲐᲥᲐᲗᲚᲘᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲦᲘᲡ და ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მაზრის ერთი ნაწილი). მაგრამ ᲰᲔᲠᲔᲗᲡ ერქვა კიდევ სხვა სახელი. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ თავის ისტორიაში ამბობს, რომ მთელს ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ხეობას, ვიდრე ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ზღვამდე უწინდელ დროში ერქვა ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲐ ანუ ᲐᲚᲕᲐᲜᲘᲐᲝ *) და ამ ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲐᲡ ᲰᲧᲕᲐᲜᲓᲐ თავისი საკუთარი მმართველი და ხანდისხან მეფეებიცაო **). მაგრამ ყოველთვის თუ არა, ხშირად მაინც, ისინი იყვნენ ქართველთ მეფეების მორჩილების ქვეშა. ᲑᲝᲚᲝᲗᲡ და ᲑᲝᲚᲝᲗᲡ ᲙᲐᲮᲔᲗᲘ დაერქვა ყველა იმ ქვეყნებს, რომლებიც მდებარებენ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ აღმოსავლეთით, მტკვრის ჩრდილოეთით, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამხრეთით და ნუხის მაზრის დასავლეთით.

მთელ ᲙᲐᲮᲔᲗᲡ ორ დიდ ნაწილათ ᲰᲧᲝᲤᲡ ᲪᲘᲕ-ᲖᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ მთა-გრეხილი, რომელიც ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ და ᲘᲝᲠᲘᲡ შუადგან შორდება მთავარ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთას, ჯერ მიდის დასავლეთისკენ და მერე ბრუნდება აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ და სწყდება იქ, საცა ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ერთვის მტკვარს. ᲪᲘᲕ-ᲖᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ იქით მხარეს ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთებამდე ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ გაყოლება არის ᲨᲘᲒᲜᲘᲗ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ; იმავე ᲪᲘᲕ-ᲖᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ აქეთ მტკვრამდე და ᲐᲠᲐᲒᲕᲐᲛᲓᲔ—ᲖᲐᲠᲔᲗ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ.

ᲨᲘᲒᲜᲘᲗ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ თავის შეხედულობით მდინარის კალაპოტს ჰგავს. ძირი არის ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ველი, ნაპირები ერთის მხრით ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთები, მეორეს—ᲪᲘᲕ-ᲖᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡᲐ. ᲕᲔᲚᲘᲡ სიგანე ერთი მთიდგან მეორემდე ვიწრო ადგილებში 16-17 ვერსია, ფართო ადგილებში 40-50. ᲮᲝᲚᲝ ᲪᲘᲕ-ᲖᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ უმაღლესი წვერი — ᲪᲘᲕᲘ ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ველზე 8,513 ფუტით მაღლა დგას; ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთების უმაღლესი წვერი—ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲝ, რომელსაც გამოსდის თვით ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ, 10,807 ფუტია.

ᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ და მთებიც ამ ქვეყნისა ᲮᲨᲘᲠᲘᲡ ტყით და მრავალ გვარ მცენარით არიან მოცული, გარდა ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ წვერებისა, სადაც ყინვა არ ახარებს მცენარეს; ᲪᲘᲕᲘᲡ წვერზედაც შეთხელებულია მცენარე სიცივის გამო.

ᲑᲐᲠᲔᲗ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ სულ არა ჰგავს ᲨᲘᲒᲜᲘᲗ-ᲙᲐᲮᲔᲗᲡ. ᲔᲡ ქვეყანა უფრო ახდილია და თავისუფალი. მაღალი გორები აჰყუდებიან ამას მხოლოდ ჩრდილო თის მხრით (ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთები) და აღმოსავლეთისა — (ᲪᲘᲕ-ᲖᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ მთები). ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ-ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ მხრით კი მდინარეები ჩაუდიან. ᲑᲐᲠᲓᲐ ამისა ამ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ მრავალია სხვა მთების ტოტები, რომლებიც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲓᲒᲐᲜ დაეშვებიან და სხვა-და-სხვა სახელწოდებით უწევენ მტკვრის პირამდე და ᲰᲧᲝᲤᲔᲜ ამ ადგილს მრავალ ხეობად ანუ ღელეებად. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗ ეს მთები ერთს სერს, მთა-გრეხილს არ შეადგენენ, ერთი მიმართულება არა აქვთ, როგორც ᲪᲘᲕ-ᲖᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ მთას, არამედ ესენი არეულ-დარეულან, ხან შეჯგუფულან ერთად, ხან გაცალკევებულან.

ᲐᲘ ამიტომ აქ არის სრულიად მთებით დაკეტილი და გამაგრებული ადგილები, ადგილები შეუვალი, საშიშარი თვით ბუნებით ᲑᲣᲠᲯᲜᲘ ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘ, ის ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘ, რომლებშიაც ჩრდილოეთის ველურთა შემოსევის სადარაჯებლად უწინდელ დროიდგან დაესახლნენ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲑᲘ, ᲨᲐᲕᲔᲑᲘ, ᲗᲣᲨᲔᲑᲘ. ᲑᲐᲨᲚᲘᲚᲘ, მინდვრიანი ადგილი აქ, დასავლეთ ნაწილში, იშვიათია; აქაურ მინდვრებს შეადგენენ ღელეები და მთის კალთები. ᲮᲝᲚᲝ ᲙᲐᲠᲒᲐ ერცელი მინდვრები არიან აღმოსავ-

---

*) „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“, № 113.

*) ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲑᲐᲠᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ᲒᲕ. 30-40.

**) ᲘᲥᲕᲔ, ᲒᲕ. 54. ᲝᲠᲔᲖᲘ ᲐᲠᲯᲔᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ.

ხალხის სიყვარული, ხალხის დახმარება.

ქარგი იქნება, თუ კიდევ, ბ. ხელაძე ან ვინმე სხვა წავა წელს მომავალ ქალაქობებში ამ მიზნით და ცოტა იყოს მაინც გაავრცელებს ხალხში სასარგებლო წიგნებს. ნურც იმას იფიქრებს, რომ წავაგებო: ბურიაში წიგნების კითხვის სურვილი თუ უფრო მეტი არა, ნაკლები მაინც არ არის, მინამ სხვა საქართველოს მხარეებში.

საჯაოხელი.

II

თერგის ხეობიდამ, 30 მაისს.

ეველამ კარგათ იცის, თუ ზაფხული როგორ სანატრელი და სასიამოვნოა, რომ იმას მდიდარი თუ გლახაკი ყველანი თანასწორეთ მოელიან. ეს სანატრელი დრო ამ ქვეყანაზ მარტო ჩვენს თერგის მარცხენა მხარეს მდებარე 6 სოფლის მცხოვრებთათვის შეიქმნა საზარელ დროდ.

ამათ მთავრობამ წარსულს 1868 წელს აუშენა სახელმწიფო ხარჯით ორი ხიდი; ერთი ამ ხიდთაგანი აგერ ეხლა სამი წელიწადია რაც აღელვებულმა თერგმა დააქცია და წაიღო, და მეორეც ახლა დროს ისე დაძველებულია, რომ, ურმებით თუმცა აღარ დადიან ზედ სოფლელები, მაგრამ ცხენით და ქვევითა კაცისათვისაც ძრიელ საშიში შეიქმნა ზედ შედგომა. უ-ხიდობის მიზეზით ზემოხსენებულის ექვსი სოფლის მცხოვრებთ შორის სამი სოფლის მცხოვრებნი ბაიბოტნის, არშის და თოთისა, ეს მესამე წელიწადია შესაბრალისათ იტანჯებიან: მაისიდამ მოკიდებული აგვისტოს გასელამდინ არიან წყალს იქით დამწყვდეულები; სიმშილისაგან შეწუხებულის ჯალაბობის დასაკმაყოფილებლათ, უხიდობის მიზეზით, თავის დროზე პური ვერ გაუტანიათ, მომაკვდავის და უკანასკნელს საათებში მყოფის ავათ-მყოფის საზიარებლათ მღვდელი ვერ გაუყვანიათ და სხ.

იმედი მაქვს სტროიტელნი კომისია, და ანუ სხვა ვისიც ვალია, ამ საქმეზედ ყურადღებას მოიქცევს და დაიხსნის ამ გაჭირვებისაგან უ-იმისოთაც ათას ნაირის გაჭირვებისა და ნაკლულევნობით შეწუხებულს მთის ხალხს.

გაბრიელ ბედოშვილი.

წერილები რედაქტორთან.

I

ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის № 105-ში დაბეჭდილი იყო საყვედური რუისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის მწარმოებლებზედ და ბუღალტერზედ.

როგორც თავს-მჯდომარე საზოგადოების რჩევისა და ნამდვილი მცოდნე ამ საქმისა, საჭიროდ ვრაცხ ეს წერილი მოგართვათ და გთხოვოთ დაბეჭდოთ ის თქვენს პატივცემულ გაზეთში. რომ უსამართლობა არ ჩაუდენიათ მწარმოებლებს და ბუღალტერს, ამას „დროების“ მკითხველიც და პასუხის მამთხოვიც ცხადათ დაინახავს ამ პასუხით. მე გწერთ იმათ მაგივრათ, რადგანაც აგერ რვა დღემდის და აქამომდე პასუხი არ მიუციათ და გაჩუმებულან, თითქოს დამნაშავეთ რაცხავდენ თავიანთ თავს.

პასუხის მომთხოვი ამბობს, რომ „მარტიდან აგვისტოს დამლეევამდის რუისის ბანკი მომცდარი იყო, რადგანაც მისი მწარმოებლები და ნამეტნავათ „ბუხღალტერი“ გამბულნი იყვნენ კალიის საქმეში.“

ა) ჯერ ამ საგანში ხართ შემცდარი, რადგანაც 6 მაისიდამ 23-ს თებათვემდინ იყო გახურებული მუშაობა, როდესაც ბანკი შესაძლებელი იყო დაკეტილიყო; რადგანაც ქუდზედ კაცი დადიოდა გუბერნატორის განკარგულებით. აქედას ცხადათ დაინახავს მკითხველი, რომ თუ დაკეტილი იყო რუისის ამხანაგობა, მხოლოთ ორმოცდა რვა დღეს და არა, როგორც თქვენ ამბობთ, ხუთ თვეს.

ბ) თუ მაინც გსურთ ნამდვილათ, კალიის მუშაობას არ დაუშლია დაყოველ კვირა უმუშაენიათ, აი წიგნებიდან ამოწერილს შემოსაველის სარგებელით დარწმუნდებით:

მარტში 154 მან. 44½ კ., აპრილში 55 მან. 68½ კაპ., მაისში 9 მან. 28 კაპ. და თებათვეში 32 მან. 21 კაპ. სულ ამ ოთხ თვეში 251 მან. 62 კაპ., დანარჩენ თვეებზედ აღარ ვიტყვი; რადგანაც ხალხიც თავისუფალი იყო, წლის ანგარიშითაც გაგებული გექმნებათ; სარგებელი შესდგა 1,379 მან. 36 კაპ., რომელიც თვეში მოვა 114 მან 86¾ კაპ.

რა უსამართლობა არის აქედან ხუთმა კაცმა თვეში 37 მან. 50 კაპ. ჯამაგირში მიიღოს. ისე კაცი როგორ ასწონს, რომ ყოველთვეში თანასწორი შემოსავალი იყვეს; ხან ბევრია, ხან ცოტა.

ამხანაგობის სახლი ყოველ კვირა ღია იყო; მაგრამ ხალხი ცოტა მოდიოდა, იმისათვის რომ მოცალება არ ქონდათ, ვერც ვალსა ხდილობდნენ, ვერც სესხულობდნენ; მართველნი კი მაინც სცდებოდნენ. ვინ იტყვის, რომ ცუდია სრულებით უჯამაგიროთ ემსახურონ ხალხს, არამცთუ ხუთს თვეს; მაგრამ ვის იშოვნიან, ან ვინ იკისრებს?

ან რა სასარგებლო ჯამაგირია! ხუთი კაცი ემსახურება; ამ 450 მანეთიდამ ყარაულს ეძლევა წელიწადში 36 მან., მართველთ სამს კაცს 120 მან, ბულღატერს 294 მან.

ბ) როგორათაც თქვენ ამტკიცებთ, რომ შორი მეზობელი ხართ რუისელებისა, იმოდელათაც შორა ხართ თქვენს მოთხოვნილებაზედ: პირველათ მესმის, შორიდგან და საქმის გაუშინჯავათ კაცი აგრე ადვილათ გაამტყუნოთ. როგორც სჩანს, გსურთ, რომ ღარიბს ოჯახს თავი დაანებონ, თქვენთვინ იშრომონ, თქვენ კი პურიც არ აჭამოთ, თქვენს თუმანს წელიწადში 1 მან. 70 კაპ. მოგება ჰქონდეს, ლატაკი გლეხი კი მშიერი მოკვდეს. სწორეთ მოგახსენოთ, არაფელი სამართალია. ამისთანა ამხანაგობა მისთვის კი არ არის მოგონილი, რომ მის სარგებლობით რამე შეეიძინოთ; დეე, სულ ხარჯებში წავიდეს მოგება და მოსულით კი რიგზე ამუშავონ თავენი, ფული არ დაიკარგოს, ყოველს დროს ხელი გაიმართონ, ეს უმფრო უმჯობესი იქმნება, სინამ თუმანმა ორი მანეთი სარგებელი მოიტანოს და მათი მართველნი ზარმაცობდენ და გაჭირებულს ხელი არ გაუმართონ.—

ვგონებ საბუთად იკმაროთ და აღარ გამოუდგეთ მიწერ-მოწერას; თუ გნებავთ, შეგიძლიანთ დავთრები გაშინჯოთ და ეს საწყენათ არ დარჩება არც მწარმოებელს და არც ბუხგალტერს.—

ნ. დიასამიძე.

სოფ. სკაშეთი, 1 ივნისს.

II

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის „დროების“ 120 ნომერში დაბეჭდილია აღწერა იმ საზარელი სკანდალისა, რომელიც მოხდა 27 წარსულს მაისს ქუთაისში. არა მგონია

ლეთ ნაწილში. მთები და მთის ტოტები ხშირად აქ უნაყოფონია, ძძლავრი ტყე სრულიად არ მოიპოვება, უფრო ხშირად დაბალი და ჯაგებიანი. შავ-ხევსურეთის ჩრდილო ნაწილში დაბალი არყნალის მეტი სხვა მცენარე თითქმის ვერ იზრდება. აქ ეაზის სახსენებელიც კი არ არის. მინდვრები (აღმოსავლეთ ნაწილში) მხოლოდ წვიმიან წელს იმოსებიან ბალახით, სხვა დროს კი სულ გარუჯულები არიან; პაპანაქება სიცხისაგან აქ კაცს სული ეხუთება. აქაური გახურებული კლდიანი გორები, რომელთაც მჭიდროდ მოუმწყვდევიათ მდ. ორი, სიცხეს უფრო უმატებენ.

ცივ-ბომბორის აქეთური მხარე უფრო ნაკლებ არის შემოსილი ტყით, მინემ იქითური. თვით ორს და ალაზანს შუა დიდი განსხვავებაა.

ალაზანი დაქანებულად და ჩქარად მორბის სოფ. ბაქტრიანამდე, რომელიც სძევს ქავკასიონის ძირში. აქედან მოკიდებული ის დინჯდება და ნელ-ნელა დუდუნით, კლაკნვით, ფართოდ მიდის მტკვართან შესართავამდის. მართალია ამას ღრმა კალაპოტი აქვს, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე ადიდდება ხოლმე, ნაპირებზე გადმოდის, და რწყავს დიდ ადგილებს, რისგამოც მისი ნაპირები ჭალიანები და ტყიანებია. ალაზნის უტეხარი ტყეები ჭიაურიდგან მოკიდებული საინგილოს ბოლომდე (ეგრიჩაიამდე) უწევენ. და ეს ჩუმათ მიმდინარე წყალი ჰავასაც ზაფხულის დროს ბევრათ აგრილებს.

სულ სხვაა ორი. როგორც ქურციკი ერთი კლდიდგან მეორეზე, მეორიდგან მესამეზე გადახტება ხოლმე, მიეშურება და თავ-შესაფარებელ ადგილს ელტვის, ისე ორი ძლივს ერთი სივიწროვიდგან გამოძვრება, უხვდება მეორე, მერე, მესამე, მეოთხე; მირბის მიშრუის, რაც კი წინ უხვდება, მიათრევს დაუნდობლად. მიწრო კლდიან ნაპირებ შუა, სულ-შეგუბებულ კაკივით, მიჰქრის, რომ შეერიოს ალაზანს და მერე მტკვარს და თავისუფლად ამოისუნთქოს. ეს არის მიზეზი, რომ ხშირად ორი სავსეა და იმავე დროს მისი ნაპირები გატრუსულები და დამსქდარია სიცხისაგან; ეს არის მიზეზი, რომ ორის ხეობა მოკლებულია ტყეებსაც, ჭალებსაც და ხშირა ბალახსაც; და ესვე არის მიზეზი, რომ აქ უტყეობისაგამო უცებ გაციდება ხოლმე ჰაერი სიცხიან დღეს და ჟუჟუნა წვიმის მაგიერ, დაუშენს ჭინახულს მსხვილს სეტყვას და სრულიად გაანადგურებს.

აი ამ ნაირი არის შეხედულობა და ბუნება ეხლანდელ ქახეთისა.

მაგრამ უნდა ესთქვათ, რომ ჰერეთის აღმოსავლეთ-დასავლეთი ნაწილი (ქაკი, ელისენი—საინგილო) ბუნებით უფრო მდიდარია, მინემ სხვა ნაწილები ქახეთისა, თუმცა თელავის მაზრის სილამაზესთან იქაური ბუნების სილამაზე ვერ მოვა. ხშირ, უტეხარ ტყეებს დაუფარავს იქ (საინგილოში) ყოველი ნაბიჯი მთისა და ველისა და ამ ტყეებში მოიპოვება მრავალი ნაშთი ძველის დროისა, იმ დროისა, როცა ჩვენი სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. იმ დროიდის მინემ აქ ხალხი ცხოვრებულა, ეს ადგილებიც თელავის მაზრის ველებივით ბაღებიანი იქნებოდა. ამ ადგილების და საზოგადოდ ჰერეთის გავერანება ეკუთვნის შახ-აბაზის შემოსევის დროს 1616 წ., როცა ქართლ-ქახეთში მეფობდა თეიმურაზი. მოუსმინოთ დ. ზ. ბაქრაძეს და ის გვეტყვის თუ რა დამართა ამ მხეცმა ჰერეთს:

„მოიწვია (შახ-აბასმა) სამეფოდ ლეკები და თვითონ წინ წაუძღვა უთვალავ ჯარს და შეეიდა ჯანეთში, აიღო ის ძალით, მორწყვა სისხლით, გაანადგურა ქვეყანა, დაანგრია ეკეკლესიები და მონასტრები. მუსულმანების მეისტორიეს ისკანდერ მუნჯის სიტყვით, საქართველოს არას დროს არა სწვეოდა იმ ნაირი უბედურობანი, როგორიც ეწვია შახ-აბასის დროს.

დასოტილების რიცხვს ის სთვლის სამოც ათასიდგან სამოც-და-ათ-ათასამდე, გადასახლებულებს (სპარსეთში) ასი ათასამდე; სხვების ჩვენებით უკანასკნელების რიცხვი ოთხმოც ათასამდე იყო. ამათი (დასოტილების და გადასახლებულების) ადგილი დაიკავეს 80 ათას ანატოლიის თათრებმა“... (ნახ. Тифлисъ въ историч. отнош., Д. З. Базрадзе, стр. 55 и 56).

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება).

ბ. კორესპონდენტი დასწრებოდეს ამ ამბავს, რადგან იმის აწერაში ბევრი შეცდომებია. პირველი შეცდომა ის არის, რომ, მ—ძეს ლ—ძისათვის პირველათ არ შამოუკრავს; მეორე, როგორც ლ—ძე, ისრე მ—ძე მთვრალი არ ყოფილან, მესამე, ლ—ძეს მო—ძე არ ჩაუჩოქებია და არც წიხლი ჩაუკრავს; მეოთხე, ბაბაშვილი და ჩიკოიძე ლ—ძეს ეხმარებოდნენ; თუ ლ—ძე ერთს დაკრავდა მ—ძეს, ბაბაშვილი და ჩიკოიძე ორს; მეხუთე, ჯოხი ლ—ნიძისათვის არ ვის არ წაურთმევია, სინამდის მ—ძემ ხელზედ ხანჯალი არ დაჭკრა; მეექვსე, შესაძლებელი არ არის ჰაერმა რკინა ვერხვის ფურცელივით აბრუნოს; უფრო შეიძლებოდა, რომ მ—ძეს არ ნდომიყო პირით ხანჯლის დაკერა და სპირტყით მოექნია. როგორც მე ვნახე, მ—ძემ ათიოდეჯერ მაინც უთავაზა პირ-შებრუნებულს ლ—ძეს ზურგ-ბეჭებში ხანჯალი და ყოველთვის ჰაერმა როგორ გადუტრიალა. მაგრამ ჰგავს კორესპოდენტი სტუმარი ვინმე უნდა იყოს ჩვენის ქვეყნისა, რადგან მას არ სცოდნია ხანჯალს როგორ მარჯვედ ხმარობს ჩვენი ქართველობა.

რაიცა შეეხება ავალიანებს, ისინი სრულიად მ—ძის მოსარჩლენი არ ყოფილან.

X.

უცხოეთი

ბულგარია. ქ. სოფიიდამ იწერებიან, მრთელი ბოლგარია სამხედრო მდგომარეობაში არის გამოცხადებულიო; ლიბერალური პარტია თხოულობს კონსტიტუციის სრულად დაცვას. ამ ჟამად ისე გაერცელებულია თურმე ხალხში ბოლგარიის მთავრის წინააღმდეგ უკმაყოფილება, რომ მთავარმა თავი დაანება თავის სამთავროში მოგზაურობას, რადგანაც ხალხის ეშინიანო.

— სოფიდამვე იწერებიან, რომ ზაგრების აკადემიის სტუდენტებმა გაუგზავნეს ქარაველოვს (დატუსაღებული მინისტრი ბოლგარიის სამთავროისა) ადრესი, რომლითაც ისინი ურჩევენ ბოლგარიელებს დაიცვან თავის თავისუფლობა და კონსტიტუცია. საზოგადოთ დიდი მოძრაობა და აღელვება არის ამ ჟამად ბოლგარიაშიო.

„მმართებლობის მოამბე“ ამბობს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მოიწონა ბოლგარიის მთავრის მოქმედება და სურს, რომ ბოლგარიის ხალხი მიენდოს და გაუგონოს თავის მთავრის სიტყვას.

განცხადებანი

უმაწვილს კაცს ესურს აიღოს გრანტუზუღისა და ლათინურის ენის გაკვეთილები თანახმაა ქალაქს გარეთაც წავიდეს. მსურველს შეუძლიან იკითხოს სოლოლაკზე, სუმბათოვის სახლებში. კონდახჩევის თამბაქოს მაღაზიაში. (3—1)

გასაქირავებელი ჰიანინო.

ქირავდება კვარტირა 5 ოთახიანი თავის ეზოვლგვარ მოწყობილობით.

მსურველს შეუძლიან იკითხოს ოლგის ქუჩაზე, ვერაზე, ტატო გაბაშვილის სახლებში. (1—1)

მოსახურავი 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინქისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ., დეპეიშკები და პასტილა თამბაქოს მსმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—2)

ინგლისის მაღაზიაში

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალერეიაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი		ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	—	1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	—	1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	—	1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	—	2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	—	2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	—	3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—2)

გამოვიდა და ისყიდება

ქართველ თავად-აზნაურთა გვერები (გრამოტები).

შედგენილი დ. ბ. ფურცელაძისაგან.

ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში, თითო წიგნი 50 კაპ., ძუთაისში ბერარდის წიგნის მაღაზიაში—70 კაპ. (5—4)

ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭელეულობა, ბაკლები, ტაშტები, ბირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, ბადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რეგულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კოლოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, ბარუსინა, ცხვირ-სახოცები, ბირსახოცები, კლონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, ბორტეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი ბარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შრბეთი, მაგნეზია დ. წეურვილისაგან ლეპეოშკები, ტიეგებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის ბარაშოკი საბონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფვნის-აღაგებისათვის, სპარსეთის ბარაშოკი და სხვ. (15—4)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საუკეთესო ბარნსის უნაგრების გასასყიდლათ, ჯოხების კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიყის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა პრომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—68

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოგრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუსებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და ასხვ. საგანგებო მაკინტოშის მოსასურავად, გასასყიდად კანფეტების და ბატეურის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაბანს იგარეში. (100—81)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიანტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—81)

გამოვიდა „დრო არის საქმეს შეუდგეთ“ თხზულება **ქრისტეფორე მამაცაშვილისა** და **„ვაი მართალთა!“** თხზულება **ანტონ ფურცელაძისა,** რომელნიც ისყიდებიან: **თბილისს,** ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში; **ბორს** მარიამ ქერესელიძის წიგნის მაღაზიაში, **ძუთაისს** ბერარდის წიგნის მაღაზიაში და **თელავს** ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—4)

თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრების“ № 32-ში დაბეჭდილის თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცნობებს:

1) მოსპობილია სესხის გაცემა და გირავნოს ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირაოს ფურცლების შესახებ დაცული იქნება იმ წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: თფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის საქმედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირაოს ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54\frac{1}{2}$ და $43\frac{1}{2}$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27\frac{1}{2}$ წლითა და აგრეთვე 18 წლითა და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $\frac{2}{3}$% სათადარიგო და უჩვეულებრივი თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{8}$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{4}$%, $27\frac{1}{2}$ წლის ვალში—$\frac{3}{4}$% და 18 წლითა და 7 თვით აღებულს ვალში—$1\frac{1}{2}$%.

5) ვისაც ესურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოის უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის პლანი, თუ აქვს, გ) დაწერილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი ესურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის პოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ცეცხლის საზღვაგელ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი ხარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $\frac{3}{4}$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს. (10—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი